თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №73385

ნომერი: AR127884

თარიღი : 05.03.2012

გაცემის თარიღი : 07.03.2012

გაცნობის თარიღი : 09.03.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი. თაბუკაშვლის 33 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაალ იაკობიძე პ/ნ 01024010547
- თბილისი ტ.ტაბიძის ქ. N 76

ორგანიზაცია:

- შპს ოაზისი 9 კოდი: 211322736

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა დემონტაჟი

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის შენობა–ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფ. მნელაძე) ქ. N33-ში, შ.პ.ს. "ოაზისი 9"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა–ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განხილულ იქნა გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოზე (ოქმი N6, 07.02.12წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ოაზისი 9"–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N882012038595, 30.01.12 წ., საკადასტრო გეგმა, საკადასტრო კოდი N01.15.04.011.002; ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან შ.პ.ს. "ოაზისი 9"–ს შესახებ, არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, დემონტაჟის პროექტი) ქალაქთმმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - მთაწმინდა), თაბუკაშვილის (ყოფ. მნელაძე) ქ. N33-ში, შ.პ.ს. "ოაზისი 9"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა–ნაგებობის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge